



კლუბის სახელწოდება: ეკოლოგიური კლუბი „პანდა“

კლუბის ხელმძღვანელი და მისი საკონტაქტო ინფორმაცია: ნათია ჩუბინიძე, გელ. 555787866, natia.chubinidze@cea.ge

კლუბის გაკვეთილების რაოდენობა : კვირაში 2 ღღე

თითოეული გაკვეთილის ხანგრძლივობა: 45წთ -1სთ

კლუბში გაწვევრიანების წინაპირობა: კლუბის წვევრი შეიძლება გახდეს III-VI კლასის მოსწავლე, რომელიც გამოთქვამს კლუბში გაწვევრიანების სურვილს, იზიარებს კლუბის მიზნებს, წარმოადგენს საკუთარ ხედვებს და წინადადებებს კლუბის ეფექტური საქმიანობის წარმართვის მიზნით.

მოსწავლეთა მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობა: მინიმალური 8 მაქსიმალური 15

კლუბის მიზანი: მოსწავლეებს გაუჩნდეთ ინტერესი გარემომცველი სამყაროს კვლევის, სიახლეთა აღმოჩენისა და შეცნობის მიმართ; გაცნობიერებული ჰქონდეთ სამყაროში მიმდინარე პროცესების ერთიანობა. ხელი შეეწყოს ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებასა და პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას.

ძირითადი მიდგომები, მეთოდები, აქტივობები: კვლევითი პროექტების განხორციელება, დილემაზე დაფუძნებული სწავლება, კეთებით სწავლა, სახალისო, საინტერესო აქტივობები, როგორცაა: კითხვარის შექმნა, ინტერვიუება, ინფორმაციის შეგროვება, დახარისხება, საინფორმაციო ბუკლეტების დამზადება და ა.შ

ძირითადი რესურსები : კომპიუტერი, გელევიზორი, ინტერნეტზე წვდომა, სხვადასხვა ფოტო და ვიდეო მასალის რესურსად გამოყენების მიზნით, ფერადი ფურცლები, ფერადი ფანქრები, წებო მაკრაგელი, ფერადი პრინტერი, სხვადასხვა მეორადი „გამოუსადეგარი“ ნივთები, ფლიფჩარტის ქაღალდი, ფერადი მრკერები.

კლუბის მუშაობის შუალედური და საბოლოო შედეგები (მუშაობის პროდუქტის წარმოდგენის პერიოდი, ფორმა)

შეიქმნება ეკოკლუბის ფეისბუქგვერდი, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული პირისთვის, სადაც პერიოდულად განთავსდება განხორციელებული პროექტებისა და აქტივობების ამსახველი ფოტომასალა, მოსწავლეების შექმნილი სხვადასხვა პროდუქტები და ა.შ. ასევე შეიძლება წლის ბოლოს ან სურვილის მიხედვით წელიწადში ორჯერ, სემესტრის ბოლოს მოეწყოს გაწეული სამუშაოს წარმოდგენა პრეზენტაციის სახით.

კლუბის ხელმძღვანელის მოკლე რეზიუმე :

მაქვს მსგავსი ეკოლოგიური კლუბის დაარსებისა და ხელმძღვანელობის გამოცდილება, გავლილი მაქვს შესაბამისი ტრენინგები რაც დამეხმარება კლუბის საქმიანობის ეფექტურად წარმართვაში, კერძოდ:

„ კვლევაზე დაფუძნებული სწავლება“

„პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება“

„გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში“

„სამუშეუშო მასალების გამოყენება ბუნებისმეტყველების სწავლების ეფექტიანობისთვის“

„ეკოლოგიის სწავლება სკოლებში“ და სხვა.

ბუნებისმეტყველებასა და ბიოლოგიაში მაქვს წამყვანი მასწავლებლის სტატუსი.